საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-576

07/07/2020

ქ. თბილისი

შპს „არერსა მეთალის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების (ალუმინის სხმულების) წარმოების საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-6 პუნქტის და მეორე დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, შპს „არერსა მეთალის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების (ალუმინის სხმულების) წარმოების საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N58 (23.06.2020);
2. შპს „არერსა მეთალმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N58 (23.06.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „არერსა მეთალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „არერსა მეთალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12-კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი